

# სოციალური დემოკრატია

1934

ბ.ს.ს. შინაგარეული საქმეების  
კომისიის, რედაქციის პარამეტრები  
რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1  
(უნივერსიტეტის შენობა)

დღეს ნომერი 7

გემზადობს მომავალი სასწავლო წლისათვის—(მოწინავე).  
მატერიალური კულტურის ისტორიისაკადემია.  
ჩვენი მოსკოველ ასპირანტების წერილი

№ 7 (14)

12 მაისი 1934 წ.

№ 7 (14)

## გემზადობს მომავალი სასწავლო წლისათვის

მომავალი სასწავლო წლის გემზადობის შესრულება უმთავრესად დამოკიდებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებაზე.

სასწავლო მუშაობის პრაქტიკაში ნორმალურ მოვლენად გადაიქცა სწავლის დაწყების ორი კვირით, ერთი თვით და კიდევ მეტი დაგვიანება. ხშირად მეცადინეობის დაწყების პირველ თვეებში ჩვენ ვაწარმოებთ პედ-პეგონალის შერჩევას, პროგრამების და სასწავლო გეგმების შედგენას, რემონტს და სხვა მოსამზადებელ მუშაობას. ამ არა ნორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოელოს.

**მოსამზადებელი მუშაობა უნდა დამთავრდეს 1-ლ სექტემბრამდე, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ 15 სექტემბერს ყველა კურსზე, ყველა ჯგუფში ნორმალური მეცადინეობა დაიწყოს.**

რა ძირითადი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მოსამზადებელ პერიოდში, რის გარშემო უნდა დაირაზმონ ფაკულტეტები, კათედრები, პარტიული კომპარტიული, პროფესიული და სხვა უნი-ის სხვა ორგანიზაციები და მათი თითოეული რგოლი?

მთავარია პროფილების ზუსტად განსაზღვრა, სასწავლო გეგმების დაზუსტება, წინანდელი სასწავლო გეგმების ცალკეულ მეცადინეობის დროულად გასწორება. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენ უნდა გვექნეს სტაბილური სასწავლო გეგმები დაბეჭდილი სახით თავისი განმარტებითი ბარათებით.

მეორე ძირითადი ამოცანა არსებულ პროგრამების გაუმჯობესება. ახალი პროგრამების დამუშავება და მათი დაბეჭვდა მეცადინეობის დაწყებამდე. უნდა მივალწიოთ იმას, რომ თითოეული პროგრამა შეიცავდეს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას, იძლეოდეს ცოდნის სისტემატიზაციას, არ იყოს გადატვირთული შერეული ხარისხის მასალით, ან კიდევ არ წარმოადგენდეს მოკლე სქემას, როგორც ეს ზოგიერთ პროგრამას აქამდე ახასიათებდა. **მომავალი წლის დასაწყისისათვის ჩვენ უნდა მოგვეპოვებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიის საფუძველზე დამუშავებული 170 პროგრამა.** სასწავლო გეგმების და პროგრამის გაუმჯობესება არაა საგნის ცალკე ხელმძღვანელთა საქმე, ის მთელი უნივერსიტეტის, პირველ რიგში, მისი პარტიული ორგანიზაციის და მთელი სტუდენტობის საქმეა. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სტუდენტთა ფართო მასების მონაწილეობა სასწავლო გეგმების და პროგრამების დამუშავებაში, მოვხდინოთ ცალკე წინადადებების შეკრება და სხვა.

უნივერსიტეტის ამოცანაა პედ-პეგონალის შერჩევა, მაღალი კვალიფიკაციის ძალების მოწვევა იმ დისციპლინებში, რომელთა კითხვა მომავალი სასწავლო წლიდან უნდა დაიწყოს, ძალების მიზანშეწონილად განაწილება, მომავალ სასწავლო წელში ჩვენ უნდა მივალწიოთ პროფესორ-პედაგოგიურ პეგონალის არამარტო კვალიფიკაციური შემადგენლობის, არამედ პარტიული შემადგენლობის გაუმჯობესებასაც. ტფილისში, ბათუმში, ქუთაისში და მთელ რიგ რაიონულ ცენტრებში გახსნილია მოსამზადებელი კურსები უნივერსიტეტში მისაღებათ, რომლებშიც სწავლობს 700-მდე კაცი. საჭიროა უზრუნველვყოთ ამ კურსების მუშაობის ნორმალურად დამთავრება, მისაღები გამოცდების ჩატარება და სათანადო მომზადების მქონე ახალგაზრდობის მიღება უნი-ში. ახალი კონტინენტის მიღებით უნდა უზრუნველვყოთ პარტიული შემადგენლობის გაზრდა სტუდენტთა შორის.

ჩვენი განსაკუთრებული საბრძოლო ამოცანაა, როგორც ეს აღნიშნა ს.კ.პ. (ბ) ორჯანიკიძის რაიონის ბიურომ **სტუდენტობის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.** ამ მხრივ ჩვენ დიდი ნაკლი გვაქვს. უნდა დავძლიოთ ყველა დაბრკოლება და მივალწიოთ იმას, რომ ძირითად დისციპლინებში რომლებშიც სტუდენტობას სახელმძღვანელო არ მოეპოვება—ასეთი სახელმძღვანელოები შედგენილ და გამოცემულ იქნეს.

დიდი მუშაობის ჩატარება მართებს ამ მხრივ ჩვენს კათედრებს, მეცნიერულ მუშაკებს, გამოცემლობას, სტამბას და მის მუშაკებს. გადაუდებელი ამოცანაა კაბინეტების და ლაბორატორიების, აგრეთვე ფუნდამენტალურ და სტუდენტთა ბიბლიოთეკების დაკმაყოფილება მოწყობილობით, სახელმძღვანელოებით, რუკებით და სხვა სასწავლო საგნებით. დღემდე არსებული მდგომარეობა, როცა კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა ჩამორჩებოდა სასწავლო მუშაობის მოთხოვნებს უნდა აღმოიფხვრას.

მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია კლასიკური სიფიზილის გამხველობაზე, მუშაობის დამკვეთელი ტემპით წარმოებაზე, პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერებაზე.

არ დაეკარგოთ არც ერთი წუთი მომავალი სასწავლო წლის შესაფერად მომზადებისათვის. თითოეული მეცნიერი მუშაკი, თითოეული სტუდენტი აქედანვე უნდა ჩაება მომავალი სასწავლო წლის სამზადის მუშაობაში.

## გამოკახებას ვაგრძელებთ

### სიტყვა ეძლევა

### პ.ო.ფ.პ. კეკელიძის

ძველი (ფეოდალური) ქართული ლიტერატურის კათედრასთან მიმავრებულია მხოლოდ ერთი ასპირანტი, **ტრიფონ რუხაძე**, ისიც 1933 წლის სექტემბრიდან.

მუშაობის ხასიათი და მიმდინარეობა ასეთია:

1. აკადემიური წლის დამდეგს ხელმძღვანელმა შეადგინა სასწავლო პროგრამა, რომელიც ასპირანტის მიერ დეტალურად გაცნობის შემდეგ, წარდგენილი იქნა ასპირანტთა ინსტიტუტში. პროგრამა შედგენილია თემატიურად.

2. ამ პროგრამის ნიადაგზე გაიშალა მუშაობა. თითოეული თემის გარშემო ხელმძღვანელი ჯერ უთვალისწინებს ასპირანტს ძირითადსა და ქვესაკითხებს, აძლევს მათ შესახებ საჭირო ცნობებს როგორც მეთოდოლოგიური, ისე შინაარსობრივი ხასიათისას, უჩვენებს ამასთანავე მთავარსა და დამხმარე ლიტერატურას.

3. თითოეულ თემს განკუთვნილი აქვს სასწავლო პროგრამით გარკვეული რაოდენობა საათებისა, მისი დამუშავების მიზნით. ნაჩვენები ვადის განმავლობაში ასპირანტი მუშაობს ამ თემაზე, წინასწარ მიცემული პრინციპებისა და მასალის მიხედვით, ხელმძღვანელი უწევს მას კონსულტაციას და საჭირო დახმარებას.

4. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, რომელნიც, უმეტეს ნაწილად გამოცემულნი არ არიან, თხოულობს საგანგებო მიდგომას: საჭიროა ტექსტის წაკითხვა, კომენტარი და რთული ფილოლოგიური ანალიზი ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით.

5. თითოეული თემის შესახებ ასპირანტი ადგენს წინასწარ წერილობით ვრცელ კონსპექტს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებას ძველი ქართული ლიტერატურული მასალების დამუშავების საქმეში. ამის შემდეგ ის აკეთებს აღნიშნულ თემაზე სიტყვიერად ხელმძღვანელის წინაშე დეტალურ მოხსენებას, რომელიც ხდება საგნად დაწვრილებითი გარჩევისა და ამასთან დაკავშირებით შევსება-შესწორებისა.

6. გარდა ამისა ასპირანტს მიცემული აქვს თემა, რომელიც უნდა დამუშავებულ იქნეს სემესტრის განმავლობაში წერილობით და რომელსაც მიზნად აქვს გამოარკვიოს მისი მეცნიერული კვლევები თემატიკის დამოუკიდებელი მუშაობის ხასით (რასაკვირველია, ხელმძღვანელის დახმარება არც აქ არის გამორიცხული).

7. ასპირანტი ესწრება, საჭირო შემთხვევაში, ხელმძღვანელის ლექციებს სტუდენტებთან, აგრეთვე სასესიო გამოცდებსაც.

8. ასპირანტის მუშაობის შესახებ უნდა შევნიშნო, რომ ის იჩენს მაქსიმალურ ენერჯის მასალის დაძლევისა და შეთვისების მხრივ, საქმეს ეპყრობა სერიოზულად, გაცდენები არ აქვს და, შეიძლება ვთქვათ, რომ მიმდინარე პირველი წელი მისი საასპირანტო მუშაობა ძველი ქართული ლიტერატურის დარგში საგნებით დამაკმაყოფილებელია.

### გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ჩვენი გაზეთის პირველი მისის ნომერში დაშვებულია კორექტორული შეცდომები. ზოგიერთი მათგანი ამხინჯებს აზრს: მეთაურ წერილში მესამე სვეტის მეორე აბზაცში წერია „გერცერთ პროგრამაში ვერ ნახულობს გამოხატულებას“. უნდა იყოს „ზოგიერთ პროგრამაში ვერ ნახულობს გამოხატულებას.“ და სხვა.

### კორესპონდენტების თათბირი

16 მაისს დღის 2 საათზე პარტიის კაბინეტში შესდგება გაზ. „ბოლშევიკურ კადრებისათვის“, კორესპონდენტების თათბირი. მოხსენებას გააკეთებს ა.ს. მინდაძე „პრესის მუშაობის ამოცანების შესახებ“ თათბირს უნდა დაესწრონ ყველა კორესპონდენტი და დაინტერესებული სტუდენტები.

რედაქცია

ინიციალის კონსპექტი  
პრესის მუშაობის ამოცანების შესახებ  
მინდაძის კონსპექტი  
სხვა მასალა



# გაუხფორკეპლი სტუდენტები

# როლის მოქმედა ზოლო უმსგავსოებას

(მე-7-დე კორპუსი სტ. ქალაქი)

ეკონომიური ფაქტორების სააღრიცხვო განყოფილებაზე ირიცხებიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც სისტემატიურად არღვევენ წესრიგს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი სტუდენტების ლექციების დროს აწარმოებენ სისტემატიურ ლაპარაკს, სისტემატიურად ავგიანებენ ლექციებზე, იპარებიან ლექციებიდან და სხვ. ასეთ სტუდენტთა „თავი-გულს“ ეკუთვნიან.

**ბაბუღია ცაგარელი**, რომელიც დისციპლინის დარღვევისათვის გარიცხულიც იყო უნივერსიტეტიდან, მოთავსებული იყო რამდენიმეჯერ შავ დაფაზე და კედლის გაზეთშიც იყო გაწერილი. კედლის გაზეთში მან თავის სახელი და გვარი ამოშალა და პასუხი არავის მოუთხოვია. ნეტავი რისთვის?

**გადევანიშვილი ნიკო**, მე-2 კურსის 13 ჯგუფის სტუდენტი სისტემატიურად სტენს დებოშს, ყოყმობს და არღვევს წესრიგს, მას არც აკადემიური წარმატება უვარგა.

**კოხანელიძე თამარა** 14 ჯგუფის სტუდენტი, რომელსაც ყოველ ექვს დღეში აქვს 4 საათის გატენა.

**ბუკია შოთა** იმავე ჯგუფის სტუდენტი, რომელიც წინ უსწრებს ყველას ლექციებიდან გაპარვაში და სისტემატიურად ავგიანებენ ლექციებზე. მას რამდენიმეჯერ მიეცა გაფრთხილება და შეტანილიც იყო შავ დაფაზე, მაგრამ მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. სანამ გაგრძელდება ასე?

**ბ. ბელიძე.**

## რედაქციისგან:

**ვითაცხვობთ რა წერილს „გაუხფორკეპლი სტუდენტები“-ს შესახებ რედაქცია სთხოვს წერილში დასახელებულ სტუდენტებს: ბ. ცაგარელი, ნ. გადევანიშვილი, შ. ბუკიას და თ. კოხანელიძეს გვაცნობონ წერილობით, თუ რას ფიქრობენ ისინი მომავალში. ფიქრობენ გამოსწორებას თუ არა? თუ ფიქრობენ გამოსწორებას რა სახით, რა მეთოდებით და საჭიროებენ თუ არა ისინი ჩვენი უშუალო დახმარებას? დაუყოვნებლივ ვე-ლით პასუხს.**

## № 21 ჯგუფი აკადემიურ ბრძოლის ფრონტზე

ეკონომიური ფაქტორების მე-2-ე კურსის სავაჭრო სექციის № 21 ჯგუფი წარმატებით იბრძვის აკადემიური ღონის ამალგებისათვის, და გადამკრულ ზომებს ღებულობს აკადემიური საათების უმინიმუმოთ გაცდენების წინააღმდეგ. მეორე სემესტრში აკადემიური საათების გაცდენა სტუდენტების მიერ მინიმუმამდე დაყვანილი.

ჯგუფს გამოწვეული ყავს სოც-შეჯობრებაში ამავე სექციის 1 ლი კურსის №18 ჯგუფი. ჩამოყალიბებულია საბუქსირო რგოლები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ აკადემიურად ძლიერი სტუდენტები. აკადემიური და საზოგადოებრივი მუშაობის დარგში მიწინავე როგებში დგანან

შემდეგი სტუდენტები; **ალ. ჯაფარიძე, კ. მამაცაშვილი, ი. მახსულო, და მ. ანდრიაძე.** წითელი და შავი დაფის შე-მოდებამ ჯგუფში ხელი შეუწყო დისციპლინის და სწავლების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების განმტკიცებას. თვითმფრინავის ასაგებ ფონდში სტიპენდიანტ სტუდენტების მიერ შეგროვილია 125 მან. ჩატარდა ხელის მოწერა მარქისის რჩეულ ორტომეულზე და ჟურნალ „საქართველოს სოციალისტური რეურნობა“-ზე. ამჟამად ჯგუფი იბრძვის აკადემიური წარმატებისა და მასობრივ საზოგადოებრივ მუშაობის გზით გამოვიდეს მეორე საკავშირო კონკურსში მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

**ნ. ბატაშვილი**

მე-7- კორპუსში № 26 ოთახში ადგილი აქვს სისტემატიურ წესრიგის დარღვევას. სტ. **კაკო ფირცხელიანიშვილი, შ. კალა-ნდაძე და ირ. ცანავა ერთმანეთს ეჩხუბება**, სციენ, ავინებენ, რის გამო იქ მყოფ სტუდენტებს არ აქვთ საშუალება ნორმალური მეცადინეობის წარმოების.



**საკ. სექც. № 32 ჯგ. მდივანი აშხ.**

**არბ. უშულია**

3 მაისს № 40 ოთახის მცხოვრებ მესამე კურსის სტუდენტმა **ვენერა კუბა-ლაძემ** ბინაში მოიყვანა ვიღაც მთვრალი ქუჩის ბიჭები შეზარბოშებული ბიჭებს

ჩვევლებრივ მოუფიქრათ „მაღა“ კანონი მო-სულ ხალხისათვის დაეწყოთ ჩხუბი, დაიწყო რევოლვერის და დანების ტრიალი, გარტყმა და სხვა. მაყურებლები უკმაყოფილოთ დაიშალენ.

სტუდენტთა ქალაქში ჩვენ ჯერკიდევ შე-გზდებით გარეშე პირებს არა სტუდენტებს რომლებიც აფარებენ თავს საერთო სა-ცხოვრებელს, აი მაგალითიც მე-7- კორპ. ოთახი № 20- ში ცხელი წლის სექტე-მბრიდან დღემდის ცხოვრობს **ვიღაც ცაცა ცეკვაძე**, ის ხშირად გაიპარის, მე საგვგამო ეკონომიური ფაქტორებზე ვსწავლობ და ლამით მაქვს ლექცია, როგორც გამო-ირკვა ცეკვაძე სტუდენტი არ ყოფილა, ჩვენ არვიცი ამდენხანს ვისი მფარველო-ბით შეაფარა მან თავი საერთო საცხო-ვრებელს. სხენებული ცეკვაძე ხშირათ თავისი მხლებლებით შუალამისას სტენს ბინაში ხმაურს, ცეკვა თამაშს ეს უნდა მიეწეროს, სტ. ქალაქის დირექციის და კომენდატის დაუდევრობას, ჩვენ მოვი-თხოვეთ ასეთი გარეშე და უმსგავსო პირე-ბისაგან საერთო საცხოვრებელის გაწ-მენდის. ვენერა კუბულაძე და ცაცა ცე-კვაძე უნ-ტის პარტკ. მიერ მიღებულია ზომები მათი კ.კ.-დან და უნივერსიტე-ტიდან გარიცხვით. **შ.**

## სტიპენდიას უკანონოდ იღებენ

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს და-დგენილება მოსამსახურე სტუდენტებს არ დაენიშნოს სტიპენდია, სახ. უნივერსიტე-ტში მაინც აქვს ადგილი ამ დადგენილების საწინააღმდეგო მოვლენას.

ასე მაგალითად: მე-3 კურსის № 31 ჯგუფის სტუდენტები ვლადიმერ გობეჩია იორდანი ცხოიძე, გრიგოლ ლომია სახ. უნივერსიტეტში ღებულობენ სტიპენდიას თვითთული 175 მანეთის რაოდენობით და ამავე დროს ისინი მსახურობენ და ლე-

ბულობენ ხელფასაც საკმაო რაოდენობ-ით. მაგ. გობეჩია მსახურობს სარეწავო კავშირში და ღებულობს ხელფას 400 მანეთს. ცხოიძე მსახურობს საქ. კარაქ ტრესტში და ღებულობს ხელფასს 450 მანეთს, ლომია მსახურობს სასახლის მშე-ნებლობის დახურულ კოოპერატივში და ღებულობს 425 მანეთს. ასეთი „მაგალი-თების“ დასახელება მრავალი შეიძლება ამ უმზავსობას დროზე უნდა მოედოს ბოლო.

**მსუბუქი კავალერია მ. კალანდარიძე**

## ბ. ანბორ

# მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია

„პრავდა“ 31 მარტი 1934 წ.

**მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია** ლენინგრადში—წინაკაპიტა-ლისტურ საზოგადოებათა ისტორიის შესწავლის უდიდესი სამეცნიერო-სა-კვლევო ცენტრია.

აკადემია არის ოქტომბრის რევოლუ-ციის ღვიძლი შვილი, ერთად-ერთი დაწე-სებულია მსოფლიოში, სადაც მისი უცვლელი თავმჯდომარის **ნ. ი. მარის** ხელმძღვანელობით მარქსისტულ-ლენინ-ური მეთოდოლოგიის საფუძველზე, ყვე-ლა სახის წყაროების (ნივთიერულ, ეთნო-გრაფიულ, ლინგვისტურ და წერილო-ბითი წყაროების) გამოყენებით წარმოებს წარსულის პრობლემების შესწავლა, რომელთაც ამასთან აქტუალური პოლი-ტიკური მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებელ პრო-ლეტარიატის რევოლუციური პრაქტიკა ორგანიზებად არის დაკავშირებული რევოლუციური თეორიასთან. აი აბიტომ „გამჭრალ ფორმაციათა“ შესწავლას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო წარსულის ახსნისათვის, არამედ უმთავ-რესად იმისათვის, რომ წარსულის ცოდ-ნით შეგვეძლოს აწმყოს შეცვლა და მო-მავლის შენება.

საუკუნობრივი ტრადიციების სიმძი-მით დატვირთულ „ძველი“ არქეოლოგე-ბის მუშაობა გამოიხატებოდა თითქმის მთლიანად სიძველის ისეთი ძეგლების ფორმალურ გამოკვლევაში, როგორცაა მაგალითად, „თაღების მონაზულობა მე-12 საუკუნის ვლადიმერ სუზდალის ხუროთმოძღვრებაში“, მე-14 საუკუნის გამოსასვენებელი ჯვარი ან „ძველ კიე-პეჩორის მონასტრის დასვენებული ხატი“. თუ ქვაზი-სწავლულები ძიდიოდენ ასეთ „მაღალ განზოგადოებამდის“, წინასტრ-

რიულ ეპოქების ძეგლებში მათ შეეძლოთ ამოეკითხათ მხოლოდ კომუნისტური წყობილებისა და უკლასო საზოგადოების „არაბუნებრივობა“.

არქეოლოგიურ ძიებათა ბურჟუაზიული რაობა, რომლებიც რევოლუციის წინა-დროის არქეოლოგიების გამოთქმით წარ-მოადგენდნ „მეცნიერებას მდიდრებისა-თვის“, გამოიხატებოდა იმაში, რომ დივითიერული ძეგლების შესწავლა წარ-მოებდა მათ შემქმნელ საზოგადოების ისტორიისაგან მოწყვეტით, ხოლო თვით ძეგლების გაგება ხდებოდა იდეალისტუ-რად რეაქციულ რასიულ თეორიის საფუ-ძველზე, მხარს უჭერდნ და ნერგავდნ დიდძალ რეაქციულ თეორიებს და ადგი-ლობრივი ნაციონალიზმის იდეებს.

„მარქსიზმი“, წერდა **ლენინი**,—მიუ-თითებს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციათა წარმოშობისა, განვითარე-ბისა და დაცემის პროცესის საყოველთაო ყოველმხრივ შესწავლის გზაზე, განიხი-ლავს ყველა წინააღმდეგობრივ ტენდენ-ციის **ერთობლივობას**, დაჰყავს ისინი საზოგადოების სხვადასხვა კლასების ცხოვრებისა და წარმოების ზუსტად გან-საზღვრულ პირობებამდე, არ უშვებს სუბიექტივიზმსა და თვითნებობას ცალ-კეულ „უმთავრეს“ იდეების შერჩევაში ან გაგებაში, ააშკარავებს გამოუკლებლივ ყველა იდეისა და ყველა სხვადასხვა ტენ-დენციის ფესვებს მატერიალურ საწარმოო ძალების მდგომარეობაში.\*

სწორედ ეს **ამოცანა—საზოგადოების ისტორიული განვითარების, მატერია-ლური წარმოების პროცესისა, კლასო-**

\* ლენინი, ტ. XVIII გვ. 13.

ბრივი ბრძოლისა და მისი ცოცხალი მონაწილეობის, მათი იდეოლოგიის კონ-კრეტული ჩვენება ყოველ თვისობრივად ახალ ეტაპზე—წარმოადგენს აკადემიის ძირითად ამოცანას ძველი ქვეყნისა და საშუალო საუკუნოების ისტორიის შეს-წავლის სფეროში.

ანტიური სიძველის პრობლემა კაპიტა-ლისტურ ქვეყნების მეცნიერებაში ამჟამად წარმოადგენს ხელსაყრელ ასპარეზს ყო-ველგვარ ანტიმეცნიერულ და ანტისაბ-ჭოთა კონცეპციებისათვის, რომლებიც იქმნება ბურჟუაზიული მეცნიერების ფა-შიზაციის შეუჩერებელი პროცესის ნია-დაგზე. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის სენტიმენტალურ თვალთმაქცობის მეთო-დის ადვილს ახლა იქერს პირდაპირი ძალადობისა და ტერორის მეთოდი, რომელსაც ანხორციელებს ფაშიზმი. პოლიტიკის ეს გაშიშვლება თავის უშუ-ალო გამოხატულებას პოულობს მეცნი-ერებაში.

ბურჟუაზიული სწავლულები ხშირად გულახდილად ამჟღავნებენ თავის კლა-სობრივ საიდუმლოებას. უკანასკნელ-დროს გამართული გაშმაგებული პოლემიკა, ეთქვათ, პოლონელ და გერმანელ არქეოლოგებს შორის ისეთ, შეიძლება ითქვას, შორეულ საკითხებზე, როგორი-ცაა „აღმოსავლეთ გერმანიის პროვინ-ციების სლავების წინანდელ სამშობლოს“ ან „ზემოსილევის წინასტორიის და ადრინდელი ისტორიის“, ან, ბოლოს, „სკვითის ტერიტორიაზე (ე. ი. უკრა-ინაში, თანახმად გერმანელ არქეოლოგ რისტგოფენის მეცნიერული გამოკვლე-ვისა). პოლონეთის წინანდელ სამშობ-ლოს“ არსებობის საკითხები,—განა ერთსა და იმავე მიზანს არ ისახავს: ხელი შეუწყოს თავისი ბურჟუაზიის იმპერია-ლისტურ პოლიტიკას?! ამავე მიმართუ-ლებით მუშაობენ იაპონელი ბურჟუაზი-

ული ისტორიკოსები და არქეოლოგები, ისინი ყოველნაირად ცდილობენ სასა-ხური გაუფიქროთ თავის იმპერიალისტური ბატონების ინტერესებს, რომლებიც ამა-ღებენ ომს საბჭოთა კავშირის წინა-აღმდეგ.

„არა იარაღის ფლარუნს შეგვიძლია დავამყაროთ ჩვენი იმედები, არამედ ქეშმარიტებას, რომელიც უნდა გავგან-თავისუფლოთ ჩვენი.“ აცხადებს გერმა-ნელი არქეოლოგი **ანდრეი**, რომელიც პუშკინის „მიუღვრომელი ქეშმარიტების“ საფუძველზე გერმანიის ფაშისტური რეჟი-მის სასარგებლოდ. ხოლო თანამედროვე გერმანელ ფაშისტურ სწავლულების თეორია „რასის სისწმინდის“ შესახებ, რომლის თანახმად ყველა ერი იყოფა უმაღლეს და უმდაბლეს ერებად,—განა ეს თეორია არ ენბარება გერმანიის ახლანდელ მართველებს „მეცნიერულ ბაზაზე“ აიყვანონ მეოცე საუკუნეში კანო-ნები დასაქურისების შესახებ, დასწავნ კაკობრიობის აპროვების საუკეთესო მიღწევები და ისტორია დააბრუნონ საშუალო საუკუნოებისაკენ?!

ფაშიზმი, ეფარება რა ამ „თეორიას“, ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინა-აღმდეგ. „ომი უნდა მოაწყოს“ უმაღლესმა რასამ, „ეთქვათ გერმანულმა რასამ“ „დაბალი რასის“, უწინარეს ყოვლისა—**სლავების** წინააღმდეგ... მხოლოდ ასეთი ომი წარმოადგენს გამოსავალს მდგომე-რეობიდან, რადგან „უმაღლესი რასა“ მოწოდებულია გაანაყოფიეროს „დაბალი რასა“ და იბატონოს მასზე. ასე განზა-დავრებულად დასცინა ამბ. **სტალინმა** თავის გამოსვლაში პარტიის მე-17 ყრი-ლობაზე ამ „უცნაურ თეორიას“ და აღნიშნა, რომ იგი ისევე დაშორებულია მეცნიერებას, როგორც „ცა ღედაშიწას“.

ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ან **ფეხ-ძღვ** მეცნიერულად აეხსნათ ვანტიური საზოგადოების დაღუპვა. ბარბაროსული დაპყრობის გულშტრყვილო თეორია,

\* A. Arndt, Obershlesische, Uor-und Jruhgesehichte. Dortmund.



ლაპარაკობს

ასპ. ა. მოსიავა

ჩემი წლიური გეგმის ცოტათი შეცვლა მომიხდა. ავიღე კურსი იმ ლიტერატურის გაცნობაზე, რასაც ტფილისში ვეღარ ვიშოვიდი. იმთავითვე განზრახული მქონდა ყურადღების ფსიქოლოგიის ერთერთ საკითხზე მემუშავა შევჩერდი ყურადღების განაწევრების პრობლემაზე, რადგან მეჩვენა, რომ ამ საკითხზე ჯერ ბევრი არაფერი თქმულა, საკითხი კი დიდი მნიშვნელობის მქონეა. ამ საკითხის დამუშავების კონკრეტული გეგმაც შევადგინე და შევუთანხმე პროფ. დობრიანს, ვისთანაც მიმაგრებული ვარ. ამ საკითხზე ორიგინალური რუსულად თითქმის არაფერი მოიპოვება, აქედან ცხადია, ვინც ამ საკითხზე მუშაობას აპირებს მრავალი თუ არა, ერთერთი უცხო ენა მაინც უნდა იცოდეს, ამიტომ მწვავედ დადგა ჩემს წინაშე ენის დაუფლების საკითხი. მომიხდა გაძლიერებული მუშაობის წარმოება გერმანულ ენაში. ვცდილობდი ყველაფერი ამ საკითხზე და სხვებზეც გერმანულ ენაზე შევითხა. ცდამ შედეგი გამოიღო: უკვე ვიყენებ წიგნებს გერმანულ ენაზე. გადავთარგმნე ორი გამოკვლევა ამ საკითხზე (ყურადღების განაწევრება). შტერცინგერის: „ვერთ წოდებული ყურადღების განაწევრების შესახებ“ და ჰენინგის: „ყურადღების განაწევრება“.



ასპ. ალ. მოსიავა

ამ ნიადაგზე უკვე რეფერატის სახით წასაკითხად გამზადებული მაქვს საკითხი ყურადღების განაწევრების შესახებ.

ყურადღების შესახებ ძირითადი ლიტერატურის გაცნობის შემდეგ შევუდგები ყურადღების საკითხების საკვლევ-ლაბორატორულ მეთოდების და აპარატურის გაცნობას.

შემდეგი საფეხური ჩემი მუშაობის ეს იქნება მეთოდის გამოშუქება ყურადღების განაწილების გამოსაკვლევად და ექსპერიმენტების ჩატარება.

ბარალელურად ვმუშაობ გერმანული ენის შემსწავლელ წრეში, რომლის მიზანია გერმანულად ლაპარაკის დაუფლება.

დაბრკოლებას ჯერჯერობით ადგილი არა აქვს—თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ სტიპენდიას გვიგვიანებენ, მაგრამ ეს არა ნორმალური მდგომარეობაა ესლა უკვე უჭუგდებულა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ. ჩვენ ამჟამად მატერიალურად უზრუნველყდით ვართ, რაც უფრო მეტად გვამაგრებს და მუშაობის მეტ ენერჯიას გვაძლევს.

ლაპარაკობს

ასპ. ლ. ებანოიძე

მივლინებული ასპირანტებიდან 4 ამახანაგი ვსწავლობთ მოსკოვის ისტორიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტში; სადაც მცირე საორგანიზაციო პერიოდის შემდეგ შეუდგეთ გეგმიან აკადემიურ მუშაობას.

მე ემუშაობ ტფ. სახ. უნ-ტის პროფ. ლევ. აღნიაშვილის ხელმძღვანელობით, რომლისაგანაც რეგულიარულად ვღებულობ წერილობით კონსულტაციას. ადგილობრივ სისტემატიური კონსულტაციისათვის მიმაგრებული ვარ პროფ. გრიშინთან. ხელმძღვანელთა რჩევის საფუძველზე, მომიხდა სამუშაო გეგმის რამდენადმე შეცვლა-შესწორება. შევამცირე სადისერტაციო თემის მოცულობა, კვლევითი მუშაობის გაძლიერების ხარჯზე. ამის მიხედვით მიხდება სადისერტაციო თემის; („ნაციონალური საკითხი და საქართველოს მენშევიზმი“) გეგმის გადამუშავება.

შევიძინე და დავამუშავე მთელი რიგი წიგნები, დავამუშავე შემდეგი შრომები: მარქს-ენგელსი—წერილები, (ირლანდიის, პოლონეთის და სხ. შესახებ). ლენინი — „ნაციონალურ-კოლონიალური საკითხის შესახებ“, (ტ. მე-14), სტალინი „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“ (ახლად გამოსული კრებული მასალაზე არა მარტო ამხილა ბურჟუაზიულ და მენშევიკურ თეორიების ანტიმეცნიერული ხასიათი ამ სფეროში, არამედ აგრეთვე გვიჩვენა ფეოდალური მისი განვითარება დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებსა და რუსეთში.



ასპ. ლ. ებანოიძე

ინტენსიურ მუშაობას ვაწარმოებ ენებში. მუშაობას ვაწარმოებ ჩვენთვის საინტერესო და საჭირო მასალაზე (სპეციალობის მიხედვით).

მთავარი დაბრკოლება, რაც ჩვენს მუშაობას ზღუდავდა, იყო მივლინების ვადის სიმცირე. ამჟამად ეს დაბრკოლება აღარ გვაწუხებს. უნივერსიტეტის მიერ ეს ვადა გაგვიგრძელდა 1935 წლის 1-ლ იანვრამდე. ვფიქრობთ, მოცემული დრო სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა შევასრულოთ ღირსეულად.

როგორც მას გადმოგვცემდა ჯერ კიდევ ბურჟუაზიის კლასიკური ისტორიკოსი მომწვენი, შესცვალა ელ. მეიერის და მისი მოწაფეების ციკლიზმის დაქვეითების კონცეპციამ, რომლის თანახმად ანტიური საზოგადოების დაღუპვა წარმოადგენდა კულტურული გადაგვარების კანონზომიერ პროცესს. ხოლო ცნობილი ფაშისტური ისტორიკოსი მ. როსტოვეცი, მიუთითებს რა ოქტომბრის რევოლუციისაზე, ანტიური ცივილიზაციის დაღუპვის მიზეზად აცხადებს „პროლეტარულ რევოლუციას“.

ეს თეორიები ისე, როგორც ანტიური მსოფლიოს დაღუპვის კულტურული კონცეპცია, რომლის ყველაზე უფრო დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს კლასობრივი ბოძოლის ყოველგვარი როლის უარყოფა და რომელსაც, სხვათა შორის, ვასავალი მქონდა უკანასკნელ დრომდე მარქსისტ ისტორიკოსების წრეშიაც კი, აკადემიის მუშაობის შედეგად საბოლოოდ გამოაშკარავებულ იქნა.

„მონების რევოლუციამ, - სიტყვა ამხ. სტალინმა თავის გამოსვლაში დამკვირვებელ კოლმეურნეთა ყრილობაზე 1933 წლის 19 თებერვალს, - მოხპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა“.

ეს გენიალური ფორმულირება, რომელიც ცხადყოფს ისეთი რთული საზოგადოებრივი მოვლენის დეფარულ მხარეებს როგორცაა ვადასვლა მონათმფლობელური საზოგადოებიდან ბატონყმურ საზოგადოებაზე, აკადემიისათვის წარმოადგენდა მობრუნების მომენტს აღნიშნულ პრობლემების დამუშავების დროს. ასე მაგალითად, ამხ. სტალინის თეორიული მუშაობის და აკადემიის მიერ ნ. ი. მარრის ისტორიული წარმოებულ შემდგომ გამოკვლევათა შედეგად, მონების რევოლუციამ თავისი გარკვეული ადგილი ჰპოვა ყმა გლეხობის რევოლუციისა და პროლეტარიატის რევოლუციის გვერდით აკადემიამ დაამუშავა აგრეთვე დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ფეოდალიზმის წარმოშობის არანაკლებ რთული

პრობლემა. თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება ამ საკითხებში სავსებით ჩმყოფება ვერთწოდებულ „ხაზური განვითარების“ ანტიმეცნიერულ თეორიის ტყვეობაში, რომელიც მიუხედავად ამისა, დიდ მოღვაწეებსა და რომელიც ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა ვენელმა პროფესორმა ალფონს დამ-შემ. ამ თეორიის ძირითადი იდეაა— „ისტორია არ აკეთებ ნახტომებს“.

ჯერ კიდევ 1929 წელს ჩვენ საბჭოთა დელეგაციის ისტორიკოსების მსოფლიო კონგრესსზე ოსლოში მოუხდა ბრძოლა თვით დოაშესთან. ეს უკანასკნელი, გამოდიოდა რა წინამძღვრებიდან „კაპიტალიზმის უცვლელობისა და პარადიულობის“ შესახებ, მოითხოვდა მოეხსნათ „ბარბაროსების“ დალი ძველ გერმანელებისაგან, რამდენადაც ისინი, პატივცემულ პროფესორის აზრით, იყვნენ „მუდამ კულტურტრევერები“, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალიზმს—ბურჟუაზიის წარმოადგენით ამ უმაღლეს ცივილიზაციას—ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბარბაროსები შეიჭრნ ძველ რომში.

უკეთესად არ იყო საქმე რუსეთის ფეოდალიზმის წარმოშობის საკითხშიც. ბურჟუაზიულ აზრს არ შეეძლო გასცილებოდა ფეოდალიზმის გაგებას იურდიულ უფლებრივი ნორმების ცვალასაზრისით; ამ პირობებში ბატონყმობის წარმოშობის პრობლემას ხსნიდენ ცალკეულ მეფეებისა და თავადების კეთილი სურვილით რომლებიც მიწებით ასაჩუქრებდენ არა მარტო თავის დაახლოებულ პირთ, არამედ გლეხებსაც.

დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის წარმოშობის საიდუმლოება განხსნეს მარქსმა და ენგელსმა; რუსეთის ფეოდალიზმში „აღმოაჩინა“ ლენინმა, რომელმაც მისი წარმოშობა მიაკუთვნა, წინააღმდეგ ბევრი პატივცემულ მარქსისტ-ისტორიკოსისა, არა შეთქქსმეტე, არამედ მეცნიერ საუკუნეს.

აკადემიამ დიდ კონკრეტულ ისტორი-

ულ მასალაზე არა მარტო ამხილა ბურჟუაზიულ და მენშევიკურ თეორიების ანტიმეცნიერული ხასიათი ამ სფეროში, არამედ აგრეთვე გვიჩვენა ფეოდალური მისი განვითარება დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებსა და რუსეთში.

უდიდეს წვლილს ისტორიულ მეცნიერებაში წარმოადგენს ნ. ი. მარრის ახალი მოძღვრება ენის შესახებ, რომელიც ამხსნევს ბურჟუაზიული ლინგვისტების იდეალისტურ და ვულგარულ მატერიალისტურ თეორიებს არის ჩვენი საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა. იგი ენათმეცნიერების სფეროში შორს იტოვებს სულთმობრძე კაპიტალისტურ მსოფლიოს მეცნიერებას.

ახალი მოძღვრება ენის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ბურჟუაზიულ ენათმეცნიერების წიაღიდან, თავისი განვითარების პროცესში დაუპირისპირდა მას. იგი დიალექტიკურად მიდის მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებთან. იაფეტური თეორია, რომელიც ენას უკავშირებს საზოგადოებრივ ფორმების ისტორიას, მატერიალური კულტურის ისტორიას, დაადგა მარქსისტული მეთოდოლოგიის გზას. ამ თეორიის თანახმად ენა არის ხედნაშენი, შეპირობებული საბოლოო ანგარიშით საზოგადოების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში უკანასკნელ დრომდე გაბატონებულ ინდო-ევროპულ თეორიის თანახმად, ენები განვითარებული არიან ოჯახებად, თითოეული ჯგუფი ენებისა წარმოშობილი ერთი საერთო პრაენიდან. ოჯახებს შორის (მაგალითად ინდო-ევროპულ და უგრო-ფინურს შორის) გაუფალი უფსკრულია. ეს უფსკრული „მაღალი“ კულტურის ხალხებს (მაგალითად, ინდო-ევროპულ ხალხებს), რომლებიც შექმნილი არიან ბატონობისათვის, აშორებს „დაბალი“ კულტურის ხალხებს (მაგალითად, ჩინელები ან აფრიკელი ხანგები), რომლებიც თითქმის შექმნილი არიან მორჩილებისადა ექსპლოატაციისათვის.

„ინდო-ევროპული ლინგვისტიკა, — წერს ნ. ი. მარრი, — არის იმ დრომოქმულ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობის სისხლი სისხლთაგანი, და ხორცი ხორცთაგანი რომელიც აგებულია ევროპულ ხალხების მიერ აღმოსავლეთის ხალხების დაჩაგვრაზე მათი განმანადგურებელი კოლონიალური პოლიტიკით“.

ძველი ბურჟუაზიული ენათმეცნიერების წარმომადგენლები უმთავრესად მუშაობდენ „მაღალი კულტურის ხალხთა ენებზე, რომელთაც აქვთ დამწერლობის ძეგლები. ნ. ი. მარრი თავის ახალ მოძღვრებაში ენის შესახებ უწინარეს ყოვლისა იყენებს საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან ხალხთა ცოცხალ მეტყველებას.

ნ. ი. მარრის მოძღვრება ენის შესახებ ინტერნაციონალურია. ყველა ენა მასი აზრით, განვილო ერთნაირი განვითარება, თანამედროვე მაღალკულტურის ინტელექტუალური და ფონეტიკური ენები ოდესღაც იყო ისეთივე, როგორცაა მათ მიერ დამონებულ აფრიკის ხანგთა ენები. კიდევ მეტი, ენის განვითარების საერთო კანონების გამოსარკვევად ზოგჯერ შეიძლება მეტი სარგებლობა მოგვეტანოს პრიმიტიული ენების (ხანგებისა, მალაიელებისა და სხ.) შესწავლამ. ვიდრე უაღრესად განვითარებულ ინდოევროპიელთა ენების შესწავლამ.

„ენა არის არა უბრალო ბგერა, არამედ აზროვნება, — ამბობს ნ. ი. მარრი. შედეგ იგი აღნიშნავს, რომ „კლასობრივ საზოგადოებაში აზროვნებაც შეიძლება იყოს მხოლოდ კლასობრივი“. ახალი კომუნისტური აზროვნების შექმნამ უნდა გამოიწვიოს, როგორც არა ერთხელ აღუნიშნავს მარრს, კომუნისტური წარმოების შესაბამისი ახალი ენის შექმნა. „სიტყვა, ენა, მეტყველება შენაშენებული უნდა იქნას საქმესთან, თანამედროვე საქმესთან, ესე იგი ჩვენს ცოც-

\*) Н. Я. Марр. „Яфетическая теория“, отд. отт. из „Нового Востока“, 1924 г. т. V, стр. 1.

Handwritten signatures and notes at the bottom of the page.





ენერგიულად მოეშავე ლექტორები

სტუდენტთა აკადემიურად წარჩინების საქმეში მთავარ ფიგურას წარმოადგენს ლექტორი. ეკონომიურ ფაქტორებს ყავს ასეთი ლექტორები, რომლებიც ნამდვილად ამართლებენ დამკვერლობის სახელსასწ. გეგმების შესრულებაში; ასეთებია გერმანული ენის ლექტორი ემ. პეფერი, და რუსული ენის ა. სამსონია. მათ მთელი სისწ. წლის განმავლობაში არ გაუცდენიათ არც ერთი აკადემიური საათი. სუსტი სტუდენტების გამოსასწორებლად აიღეს ინიციატივა. ლექტ. პეფერი დღემდე ამისათვის ჩატარებული აქვს საათები 36; შემდეგ ჯგუფებში: № 9, 16, 10, 17, 19, 21, და 26-ე. მის მიერ, აღნიშნულ ჯგუფებში სუსტი სტუდენტების გამოსასწორებლად სისტემატურად გამოყენებულია დასვენების 10 წუთი კი.

აღნიშნული ლექტორი ამეცადინებს ძლიერ და დაინტერესებულ სტუდენტებსაც. სადაც დღემდე ჩატარებული აქვს 16 ჯგუფში 20-საათი. 9 ჯგ. 16 საათი. 26 ჯგუფში 14-საათი. მთლიანად ყოველ დეკადაში ატარებს დამატებით 8-საათს. ასეთივე მოწინავე რიგებში დგას ლექტ. ა. სამსონია. ის სისტემატურად ემარგება სუსტ სტუდენტებს, და მათ გამოსასწორებლად ჩატარებული აქვს 25 საათი. ის აქტიურად იბრძვის სტუდენტების მიერ რუსული ენის დაუფლები-სათვის; კერძოდ 10 ჯგ-ში მან თვალსაჩინო შედეგი მიიღო. ჯგ-ში არ არის არც ერთი სუსტი სტუდენტი; ამ სანიშნულ ლექტორებს უნდა მიბაძონ სხვა ლექტორებმაც.

3. კენზაქი. ა. ჯაზარია

დამკვერელი ლექტორი

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საღამოს წყების მუშავეს ყავს ნამდვილი დამკვერელი ლექტორი ამხ. გრიზა ხელაძე. მან 1933-34 წლის სამოსწავლო გეგმა წარმატებით შეასრულა. პროგრამა შეთვისებული აქვთ ყველა მსმენელს. ლექტორი ხელაძე განვილი მასალების განმეორებასთან ერთად ამუშავებს ჯგუფისათვის საინტერესო სხვა თემებს. ატარებს დამატებით საათებს და სხვა. მისა ასეთი გაცხოველებული მუშაობა დიდ ინტერესს იწვევს მსმენლებს შორის.

3. ჯანჯუაძე

განვამტკიცეთ დისციპლინა

ქართული სექციის მე-3 კურსს პირველ სემესტრში არ ქონდა არავითარი მიღწევა. მეორე სემესტრში ჯგუფმა შემოიღო წითელი და შავი დაფა. ამის შედეგად გაიზარდა დისციპლინა, შემცირდა გაცდენები. ჯგუფში სანიშნულ სტუდენტებად ითვლებიან: კ. ძიძი-

გური, შ. ქანტურია, გელოვანი, ხარანაული, ბურჭულაძე და სხვა (კ. კ. წყვრები). უპარტიოებიდან შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი სტუდენტები: მ. აღამია, ს. ჭილაია, ნ. პაპიძე, შ. კვასხაძე, ი. კვარაცხელია და სხვა. ჯგუფი 80 პროცენტით ჩაბმულია პოლიტურებში. იმ. გავაფილი.

სოციალ-დემოკრატიული პარტია

1/IV — 30/IV-მდე.

Table with 7 columns: გეგმით უნდა წაკითხულიყო, გაცდენილია, პროც., საპატიო მიზეზით, პროც., არა საპატიო მიზეზით, პროც. Values: 2559, 201, 2.10, 164, 1.71, 37, 0.37

როგორ გხვდებით სესიებს

ასპირანტთა მოსამზადებელი კურსი შეუდგა სესიისათვის მზადებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სესიები ასპირ. მოსამზადებელ კურსს არ ენება სექტემბრამდე ჯგუფმა მაინც მიზანშეწონილად და დროულად სწრაფ სესიისათვის მოსამზადებელი მუშაობის დაწყება. 8 მაისს ასპირანტთა მოსამზადებელი კურსი დაიწყო საგნების მიხედვით საბუ-

ქსირო ჯგუფებად. ჯგუფი მიმდინარე სესიისათვის მზადებას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სესიები ასპირ. მოსამზადებელ კურსს არ ენება სექტემბრამდე ჯგუფმა მაინც მიზანშეწონილად და დროულად სწრაფ სესიისათვის მოსამზადებელი მუშაობის დაწყება. 8 მაისს ასპირანტთა მოსამზადებელი კურსი დაიწყო საგნების მიხედვით საბუ-

ხალ და აქტიურ შემოქმედებითი თანამეორეობისათვის! — ამბობს ნ. ი. მარრი.

ნ. ი. მარრის და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ აკადემიის დღევანდელი ლოზუნგი არის არა იაფეტური თეორია, როგორც იწოდებოდა მისი ახალი მოძღვრება ენის შესახებ, არამედ ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის ენათმეცნიერებაში, როგორც ეს გამოაცხადა მან საჯარო ლექციაში მოსკოვს გასულ წელს. საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიული ენათმეცნიერების წარმომადგენლებთან ბრძოლის პროცესში ნ. ი. მარრი და მისი მოძღვრების მიმდევრები წააწყდნენ მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების მტრების შენიღბვას იაფეტური სამოსელით.

აკადემიის მრავალ მეცნიერულ პროდუქციის შორის (უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოვიდა დაახლოებით 60 მეცნიერული შრომა) განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უკანასკნელი 3 თვის მანძილზე გამოსული ორი მსხვილი კრებული: „წინაკაპიტალისტურ ფორმაციათა ისტორიიდან“ (წერილების კრებული ნ. ი. მარრის სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლისთავისათვის) და „კარლ მარქსი და წინაკაპიტალისტურ ფორმაციათა ისტორიის პრობლემები“ (კრებული კარლ მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის).

ორივე შრომა უეჭველად ძვირფასი წვლილია მეცნიერებაში. კრებულში მონაწილეობა მიიღეს როგორც კომუნისტმა ისტორიკოსებმა, ისე გამოჩენილმა უპარტიო სპეციალისტებმა. (ი. ი. მეშჩანინოვი, პ. პ. ეფიმენკო, ბ. ლ. ბოგავესკი, ს. ა. ვებელევი, ვ. ვ. სტრუვე და სხვ.), რომელთაც თავისი შრომებით გვიჩვენებს მათ მიერ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დაუფლების სფეროში მოხდენილი ძვრები.

თემატიკა პირველი კრებულისა (680 გვერდი), რომელიც საუცხოოდ არის გამოცემული და უხვად ილუსტრირებულია

ლი, ასახავს არა მარტო თანამედროვე საბჭოთა ისტორიკოსების მიერ წინაკაპიტალისტურ ეპოქების მიუღწევად უმნიშვნელოვანეს პრობლემების შესწავლის მაღალ დონეს, არამედ აგრეთვე ნ. ი. მარრის მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხების მრავალმხრივობასა და მრავალფეროვნებას. კრებულის წინასიტყვაობაში კარგად არის დახასიათებული ბურჟუაზიული ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის პროფესორიდან მსოფლიო მეცნიერ-კომუნისტამდე განვლილი მთელი მეცნიერული და პოლიტიკური გზა ნ. ი. მარრისა, 500 მეცნიერული შრომის ავტორისა, რომელმაც „სულ უფრო და უფრო შეითვისა მარქს-ლენინ-სტალინის იდეები და რომელიც ამოწმებს თავის მუშაობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით... შემთხვევითი როდია, რომ სტალინის ლოზუნგი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტურ კულტურის შესახებ წარმოადგენს ნ. ი. მარრის უკანასკნელი შრომების ძირითად იდეას, რომლებიც მიძღვნილია სსრკ ნაციონალური და ენობრივი მშენებლობის პრობლემებისადმი“.

სტალინიდან განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ფ. კიპარისოვის სტატია „ნივთი-ისტორიული წყარო“, რომელიც ნივთიერული ძეგლის, როგორც ისტორიულ წყაროს პრობლემას აშუქებს ნ. ი. მარრის შრომების მიხედვით ი. ი. მეშჩანინოვის სტატია „მატერიალური კულტურა და აზროვნება“ არკვევს მარრის მოძღვრებას ადამიანის აზროვნების ქმნალობის შესახებ ენის მონაცემების საფუძველზე და ამტკიცებს, რომ „თავისი შრომითი აქტის შეცნობა დაკავშირებულია კოლექტიური შრომის შეცნობასთან“. ს. ი. კოვალევის სტატია „კლასობრივი ბრძოლა და ანტიური საზოგადოების დაღუპვა“ აშუქავს ანტიური მსოფლიოს დაღუპვის ფსევდომეცნიერულ თეორიებს და ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე არკვევს მონათა რევოლუციის როლს ანტიური საზოგადოების არსებობის მთელ მანძილზე.

კიდევ უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს მთელი რიგი სტატიები დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ფეოდალიზმის წარმოშობის საკითხების შესახებ. ა. გ. პრიგოჟინის სტატია „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის წარმოშობა“ პირველად მარქსისტულ ლიტერატურაში ბარბაროსულ ქვეყნების ისტორიის კონკრეტულ მასალებზე გვიჩვენებს ფეოდალიზმის წარმოშობის პროცესს ევროპის უმთავრეს ქვეყნებში. ავტორი, უკეთეს რა ანალიზს ძველი რომის ნამდვილ მწარმოებელთა (კოლონების მონების და სხ.) მდგომარეობაში მომხდარ ცვლილებებს რომის ბარბაროზაციის დროს და მის შემდეგ, ისტორიკოსების ჩვეულებრივი შესვლულების წინააღმდეგ გვიჩვენებს, რომ ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა არა ანტიური მონობის საშუალო საუკუნეების ბატონობაში უბრალო გადარდის შედეგად, არამედ ძველი გერმანული საზოგადოების ცენტრალური ფიგურის—თავისუფალი ფრანკის დამოწმების რთული პროცესის შედეგად. ამრიგად ენგელსის თეზისმა „რომის კოლონისა და საშუალო საუკუნეების ყმის შორის იდგა თავისუფალი ფრანკი“ ამხ. პრიგოჟინის მუშაობის მეშვეობით თავისი კონკრეტული განსახიერება ჰპოვა დიდ ისტორიულ მასალაში. კრებულის ნაკლს წარმოადგენს თემატიკის ერთგვარი სიჭრელე და საკმაო ერთიანობის უქონლობა ცალკეულ ნაწილებში. მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია ყველა საიუბილეო კრებულის ბედი, მეორე კრებულში განიხილავთ გაცილებით მეტი მთლიანობით თემატიკაში. იგი შედგენილია აკადემიის მიერ წინაკაპიტალისტურ საზოგადოებათა ისტორიის სფეროში დამუშავებულ მარქსისტულ-ლენინური იდეების გეგმის მიხედვით და თავის ცალკეულ ნაწილებში აშუქებს როგორც ისტორიის მეთოდოლოგიის საერთო პრობლემებს, ისე ცალკეულ წინაკაპიტალისტურ საზოგადოებათა კონკრეტულ პრობლემებს. პირველი ნაწილი რომელშიაც მოთავსებულია ნ. ი. მარრის სტატია

კარლ მარქსის გარდაცვალების ორმოცდაათი წლის თავი“ და ა. გ. პრიგოჟინის „მარქსი და წინაკაპიტალისტურ ფორმაციათა პრობლემები“ (კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორები), მიზნად ისახავს მარქსისტ ისტორიკოსების მიერ ძველი მსოფლიოსა და საშუალო საუკუნეების ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლის შედეგების შეჯამებას. წინაკლასობრივ საზოგადოების ისტორიის ნაწილში გამოჩენილი სპეციალისტები არქეოლოგები (პ. პ. ეფიმენკო და ვ. ი. რაველინიკა) თანამედროვე მეცნიერების განკარგულებაში არსებულ დიდ ისტორიულ მასალაზე ადასტურებენ მარქსიზმის ფუნდამენტულ მოძღვრების სისწორეს პირველყოფილი კომუნისმის შესახებ.

ნაწილში „მონათმფლობელური საზოგადოება“ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ი. ი. ტიუმენევის სტატია სოციალურ რევოლუციაზე მე-7—მე-6 საუკუნეების ძველ საბერძნეთში და ი. ი. კრიუგერის სტატია მე-2—1-ს საუკუნეების მონათა აჯანყებების შესახებ მონების რევოლუციის დაწყებით ეტაპზე. მთელ რიგ სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებმა აღნიშნეს მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავი სპეციალური კრებულების გამოცემით (მეცნიერებათა აკადემია ცალკეული ინსტიტუტები, კომ-აკადემია და სხვ.). უნდა ვაღიაროთ, რომ მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის ეს კრებული უეჭველად კარგია.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საშუალო და უმაღლეს სკოლებში ისტორიის სწავლების არსებით ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, რაზედაც ლაპარაკობდა ამხ. სტალინი, აკადემია ამჟამად ამზადებს 5 სახელმძღვანელოს უმაღლეს სასწავლებლებისათვის. წინაკაპიტალისტურ საზოგადოებათა ისტორიის შესახებ.